სტამბა და რედაქცია ტფილისში, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დი „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი" ღირს წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
სასეირნო ბაღი
**არმაზი**
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
ყველაფერი იაფად
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—18) ე. ჩხარტიშვილი

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს.
მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—13)

**განიხვრა** და დაფასება ტყიან მამულებისა
**დაფასება** სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხვ. კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—49)

**ამზადებს** საქალებო სკოლების უმცროსი კლასებისათვის, სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებისათვის, სასულიერო სასწავლებლის ყველა განყოფილებისთვის და ყველა კლასებისთვის, სასულიერო სემინარიის პირველ კლასისთვის; აგრეთვე ვისაც თავის ნებით ჰსურს ჯარში ჩაერიცხოს და მერე იუნკრის სასწავლებელში გადვიდეს (вольноопредѣляющіися). ფასი ყველას მაშინ გამოერთმევათ, როცა კარგა დაიჭერენ ეგზამენს და მიღებულ იქმნებიან სასწავლებელში. თანახმაა ქალაქ გარეთაც წაჰყვეს მსურველთ: სოფლად და აგარაკად. წერილის ადრესი: г. Тифлисъ, Вознесенская ул. д. № 51, С. А. Картвелову. აგრეთვე მსურველთ შეუძლიანთ მნახონ სასულიერო სემინარიაში 9—1 საათამდის. (10—7)

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება დიდის მოწამისა
**იაკობ დაჭრილისა**
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა
ფასი ერთი შაური (10—2)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ. ამდენი ხნის ძებნამ სულ ტყუილად ჩაიარა, კიდევ არსად სჩანს დაკარგულის გვამი და არც არავინ იცის თუ ცოცხალია.

ათასგვარი ჰორისაგან მოსვენება აღარ არის: ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. მცხეთიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ უნახავთ ვიღაც ი. მაჩაბლის მზგავსი და ვიღაც ყორღანოვმა კი მთელი ტფილისი შესძრა მაჩაბელი ვნახეო კვირას, ე. ი. დაკარგვის მესამე დღეს.

ამ ჟამად კიდევ ახალი ცხელი ამბავი დატრიალებს ქალაქში: ვითომ თავ. მაჩაბელი რომელიმე უდაბნოში, მონასტერში იმალებოდეს.

ამგვარი უსაფუძლო ხმები კიდევ უფრო სტანჯავს დაკარგულის ოჯახობას: ეძლევათ იმედი, სიხარულით აივსებიან და რამოდენიმე საათის შემდეგ გაიგებენ, რომ ჰორია უსაფუძვლო, ისევ სევდას და ვაებას მიეცემიან.

გუშინ გავრცელდა კიდევ ერთი ხმა, ვითომ ალსტაფაში ფეხით მისულიყოს ვიღაც დაქანცული, ფეხებ დასისხლიანებული, ინტელიგენტი მშიერი კაცი და ეთხოვოს პური! როდესაც ვინაობა კითხეს უპასუხნია: „მე პურსა გთხოვთ, მშიერი ვარ და ჩემი ვინაობა რათ გინდათ გაიგოთო, სულ ერთია ვინც უნდა ვიყოვო!"

რასაკვირველია, ოჯახობა, მეგობრები, პოლიცია და დეპეშები ალსტაფისაკენ გაიქრიალებენ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ესეც ათას ერთი ზღაპარჰორი გამოდგება.

ორში ერთი უნდა იყოს: ცოცხალი თუ დარჩა თავ. ივ. მაჩაბელი სულ ტყუილია მისი საქართველოში ან და კავკასიაში ძებნა: თითქმის ორი კვირა ეძებენ და ძნელია არ მოეძებნათ.

საფიქრებელია იმან მოახერხა საზღვარზე გადასვლა და პოვნაც ამისათვის გაძნელდა.

მხოლოდ ამნაირი თავ. მაჩაბლის გაქცევაც ჩვენ მიგვიაჩნია შეუსაბამოთ: აქამდის კი იშოვიდა საშუალებას ეცნობებია მწუხარე ოჯახობისათვის წავედი ნუღარ მეძებთო!!.

*** **ასოთ-ამწყობის გაგიჟება.** ორი კვირაა მას შემდეგ, რაც ასოთ-ამწყობი ვ. მიხაილოვი ჭკუაზე შეიშალა. ეს იყო ერთი საუკეთესო და პატიოსანი ასოთ-ამწყობთაგანი. ის არ იყო სხვებსავით პირ-მოთნე, ფლიდი და გაუტანელი, არამედ პირში მთქმელი, მებრძოლი ყოველ უწეს-რიგობისა თავის ამხანაგთა შორის. იმას არ უყვარდა ზურგს უკან თავის ამხანაგის ლანძღვა-დაცინვა, თუ რამ ჰქონდა დასაცინი და გასაკიცხი, პირშივე ეტყოდა. ის ყველას ერთნაირად ამხელდა: თავისზე დიდსაც და პატარასაც. აი ასეთმა მისმა საქციელმა გამოიწვია თავის ამხანაგთაგან მისდამი სიძულვილი, შური და მტრობა... რომ ვეღარაფერი მოუხერხეს მეტი, მისმა ამხანაგებმა და სხვებმა მას უწოდეს სულელი (სუმაშედში). ამის შემდეგ სულ ყველა ასოთ-ამწყობნი მას სულელს ეძახდნენ სახელის ნაცვლად. საწყალს გულს უწყლულებდა თავის ამხანაგთან მასზე ასეთის მსჯავრის დადება. დღეს-კი საბრალო გულის-შემზარავ მდგომარეობაში იმყოფება უფრო ტფილისელ ასოთ-ამწყობთა გულ-ქვაობით და გაუტანლობით. ყოველ ამას ზედ დაერთო ბოლოს დროს მისი სტამბიდან დათხოვნა. ეხლა ის უკვე ჭკუაზე შეშლილია და შიმშილ-ტიტველი ქუჩებში დაიარება უპატრონოდ... საკვირველია, რომ ადმინისტრაცია არ აქცევს ყურადღებას და არ მიჰყავს, სადაც რიგია.

ასოთ-მწყობი

*** **ახალი გაზეთი ბაქოში.** ჩვენ შევიტყეთ, რომ რუსულს მწერლობაში ცნობილს ქ-ნ დუბროვსკისას მიუმართავს მთავარ-მმართველობისთვის, რომელიც განაგებს რუსეთში ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმეს და უთხოვნია—ნება მომეცითო ბაქოში რუსულს ენაზე ახალის გაზეთის გამოცემისა. რომელსაც სახელად ეწოდება „ბაქოს ფურცელი“. ამ მმართველობას თვისის მხრივ მიუმართავს კავკასიის მთავარ-მართებლისათვის და დაჰკითხებია—თქვენის მხრივ ხომ არავითარი დაბრკოლება არ არის, რომ ნება მივცეთ ამ გაზეთის გამოცემისაო.

*** **ხმოსნის ლ. თ. ტიგრანოვის საქმე.** ტფილისის ქალაქის გამგეობას დაეკითხა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი იმის შესახებ, თუ რა მიმართულება მისცა გამგეობამ ოქმს ხმოსნის ლ. თ. ტიგრანოვის მიერ საბჭოს თავმჯდომარის შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც მოხდა 15 ივნისის სხდომაზე.

*** **კურს-დამთავრებული ქართველი უმაღლეს სასწავლებელში.** წელს საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიაში კურსი დაამთავრა და მიეწერა ამ შტაბს კაპიტანი მდივანი.

*** **უმაღლესი დანიშნულება.** წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების რჩევის საქმეთა მმართველმა მისი უმაღლესობის სასახლის კამერ-იუნკერმა ი. ფ. ფონ-კრუზენშტერნმა, როგორც ისმის, მიიღო უმაღლესი დანიშნულება.

*** **მოწაფე ქალთა მიღება სასწავლებელში.** წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში უადგილობის გამო მე-VIII პედაგოგიურ კლასში მიღებულ იქმნა მხოლოდ ორი მოწაფე ქალი: ფონ-კრუზენშტერნი და კნ. აბაშიძე.

*** **თურქესტანის სამეურნეო საზოგადოებამ** გამოუგზავნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ხივური ნესვის თესლი კავკასიაში დასათესად.

*** **ვაკანსიები II საქალებო გიმნაზიაში.** პირველდაწყებით კლასებში დაჭერილია მაისში მომხდარ ეგზამენების შემდეგ, ასე რომ ამ გიმნაზიაში მოწაფეთა მიღება აგვისტოში მხოლოდ უმცროს მოსამზადებელ კლასში შეიძლება.

*** **დახმარება მოუსავლობით დაზარალებულთათვის.** 6 ივნის სოფ. გლდანში აგრონომმა სააკოვმა მოახდინა ყრილობა შემოწირულ ფულით ნაყიდი პურის დასარიგებლად. გაჭირვებულთა რიცხვი დიდი აღმოჩნდა, ასე რომ საჭირო შეიქნა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ გლეხთა გამორჩევა. სულ დაურიგდა გლეხთ 50 ფუთი პური.

*** **ცნობები მოსავლის შესახებ.** ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა კავკასიის სააქციზო გადასახადის ამკრეფს შეაგროვეთ დაწვრილებითი ცნობები ამ წლისა როგორც პურის, ისე სიმინდის შემოსავლის შესახებ სპირტის ფასის გამოსარკვევადაო.

*** **სკოლების დაარსება.** ბორჩალოს მაზრის სოფ. კაჩაგინისა, სადახლოსა და კერფლინის საზოგადოებათა მცხოვრებთ საზოგადო ყრილობაზე, თავიანთი მამასახლისების თანადასწრებით, დაუდგენიათ დააარსონ სოფ. კაჩაგინსა და და სადახლოში ორი სამინისტრო სკოლა. სადახლოს სკოლისათვის ადგილი დაუთმია უფასოდ ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. გ. დ. აფხაზს; კნეინა მაღალაშვილის მამულის მოიჯარადრეს დ. პრესმანსუჩუქებია იმავე სკოლისათვის ასი ფუთი დამწვარი კირი საძირკვლისა და კედლების ასაგებათ. („კავკ.“)

*** **ტუსაღთა ეტაპით გაგზავნა.** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, განახლებულია ტუსაღების ეტაპით გზავნა ფოთსა და სოხუმში, რადგან ფოთისა და სოხუმის სატუსაღოებში სახადი მოისპო.

*** **მეტივეთა თხოვნის შეწყნარება.** მთავარ-მართებლის თანამდ. აღმასრულებელს გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს შეუწყნარებია მეტივეთა ვექილის ბ. ჯაბადარის თხოვნა და უბრძანებია: დაუბრუნდეს ტივები მათ პატრონებს, რომლებსაც ჩამოერთვა ისინი სატივო გადასახადის მიუცემლობის გამო და ამასთან მოისპოს სატივო გადასახადი ამის შემდეგაც, ხოლო ქალაქის გამგეობას წინადადება მიეცეს გამოსძებნოს სხვა გვარი გადასახადი ქალაქის დებულების ძალით.

*** **სამსონ მაღალაშვილის საქმე.** 24 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად ორი საქმე სამსონ მაღალაშვილის შესახებ, რომელსაც ერთი მხრით ის ბრალდება, რომ იგი და გიორგი ფხაკაძე 10 იანვარს 1898 წ., საღამოს 10 საათზე, თავს დაესხნენ იარაღით ხელში სულხანიშვილის დუქანს (ავჭალის ქუჩაზე), საიდანაც მოიტაცეს ფულები; გარდა ამისა მათ ბრალდებათ, რომ იმავე ადგილზე ერთმა მათგანმა, ფხაკაძემ დუქნის გაძარცვის შემდეგ, შეპყრობის ასაცდენათ თოფი გაისროლა, რომელიც გადასცა მას მაღალაშვილმა და შემთხვევით მოჰკლა ვახმისტრის ცოლი ფედოსია ოზეროვისა. მეორე მხრით, იმავე მაღალაშვილს ის ბრალდება, რომ 1897 წლის ივლისში განიზრახა კუკიის სასაფლაოს ეკკლესიის სტაროსტის პონომარევის მოკვლა, რომელსაც მან თორმეტი ჭრილობა მისცა ხანჯლით თავში და ტანზე.

*** **საზუთიანი გაღვიძება.** 6 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქალაქის ინჟინერის თანაშემწეს აღმასრულებელს მუხარინსკის, ქალაქის გამგეობის დარბაზიდან გამოსვლის დროს დაჰკითხებია თავის საქმეზე ალექსანდრე სიმონის ძე კობიაშვილი; მუხარინსკი მეტის-მეტად უზრდელად მოქცევია კობიაშვილს და ამ უკანასკნელმა, თურმე, მუშტი გაარტყა ბ. მუხარინსკის საფეთქელში, მუხარინსკი სისხლ-დადენილი ძირს დაეცა. დაშავებულს აღმოუჩინა პირველი დახმარება სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა ბ. სტეფანოვმა. შემდეგ გრძნობა მიხდილი მუხარინსკი წაიყვანეს ბინაზე. ამ ჩხუბის მიზეზი ის გარემოება ყოფილა, რომ კობიაშვილს მოუთხოვნია საბოლოოდ ანგარიშის გაწმენდა ნავთლუღში ხიდის აშენებისათვის, მაგრამ მუხარინსკის არ დაუკმაყოფილებია მისი მოთხოვნილება და უკმეხადაც მოჰქცევია.

*** **ᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** **სამკითხველოს საქმე.** აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც ბ-ნი ვ. ალშიბაია აგროვებდა წიგნებს ზუგდიდის სამკითხველოს სასარგებლოდ და როგორც ვიცით, 50 ქართულ-რუსული წიგნები მოაგროვა. თითქმის გაზეთის საშუალებითაც ითხოვდა შემწეობას. ეხლა ვსთხოვთ ქველმოქმედს ბ-ნ ვ. ალშიბაიას, რომ რაც წიგნები აქვს შეგროვილი, დროისით წარმოუგზავნოს სამკითხველოს და მით ხელი მოუმართოს ახლად დაარსებულ სამკითხველოს.

გურულ-მეგრელი

*** **ᲭᲝᲙᲜᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ** (იმერეთი) **სოფლის მწერლის გამოცვლა.** ჭოგნარის საზოგადოებაში ძლიერ სასიამოვნო ამბავი მოხდა ამ ხანებში: აგერ ხუთი-ექვსი წელი იქნება, რაც აქაური გულშემატკივარი მკვიდრნი ცდილობდნენ ძველი მწერლის გადაყენებას, რომელსაც ისე მაგრათ ჰყავდა ეს საზოგადოება ბრჭყალებში ჩაჭერილი, რომ ახალი მაზრის უფროსი არ მოშველებოდა, თქვენი მტერია ჩვენი საზოგადოება შესწუხდებოდა, მაგრამ ბედზედ დაგვინიშნეს მაზრის უფროსად იმისთანა კაცი, რომელიც შევიდა ხალხის მდგომარეობაში და ყველა წრეს გადასული ალაგმა. ეხლაც თურმე ძველი მწერალი რაღაც ოინებს ხმარობს, მაგრამ ამაოდ ვერაფერი გაუვა.

აქაური გლეხი

*** **ᲡᲝᲤ. ᲕᲐᲧᲐ** (ქართლი). **საჭირო განმარტება.** ბ. რედაქტორო თქვენის გაზეთის 564 № ში ს. ვაყიდან კორესპონდენცია არის დაბეჭდილი, რომელიც მეც მეხება და ადგილობრივ საზოგადოებასაც, აგრეთვე სიმართლესაც არის

აკლებული და ამიტომ იმედი მაქვს მართლის გამოსარკვევად თქვენს გაზეთში ადგილს დაუთმობთ.

მართალს ბრძანებს ბ. კორესპონდენტი, რომ ვაყელები ძალიან ღარიბები არიანო, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვა გახლავსთ, რომელიც უფრო ღრმად არის ცხოვრებაში დამარხული და არა სომეხ-ქართველების ერთმანეთის ქიშპობა და ბეზღობაში. აქ სომეხი და ქართველი არ ექიშპებიან ერთმანერთს. აქაურ სომხებს არც კი მიაჩნიათ თავისი თავი სომხებად, არამედ ყველა თავიანთ თავს ქართველებათა სთვლის (ჩვენ მოგახსენებთ ხალხზე და არა ორიოდე ჩარჩზე) და მეზობლობაც კარგი აქვსთ ერთმანერთში. ესენი სარწმუნოებით განსხვავდებიან, თორემ რომ ყველა ნამდვილი ქართველები არიან და იყვნენ, ამას ამათი გვარებიც კარგათ ამტკიცებს. დიახ, ესენი ქართველები არიან და იყვნენ კიდეც, თუ, რასაკვირველია, ახლა ზოგიერთა კუდაბზიკა ვაჟბატონებმა, რომელნიც ქართველებსაც ატყუებენ და სომხებსაც არ აურიეს მათი მონასტერი. ეს ერთი, მეორე: სამინისტრო სკოლის ხარჯს ქართველებიც იხდიან და სომხებიც; მხოლოდ ქართველი ნაკლებად, თითქმის სულ არ დაიარება ამ სკოლაში, რადგან აქ ქართულს არ ასწავლიან. (მასწავლებელი სომეხია, რომელმაც არც ქართული იცის და არც სომხური). სომხებიც და ქართველებიც იმას იძახიან, რომ ჩვენ უქართულოდ ვერ გამოვდგებითო და აი ამის მიზეზი იყო, რომ ჩვენს ღარიბ სკოლაში, უფასოდ, ორმოც-სამოცი შეგირდი, სომეხი და ქართველი, დადიოდა ხოლმე, და სამინისტროში თორმეტს არ ასცილებია; ამიტომ ძალიანა სცდება ბ. კორესპონდენტი, რომ „წერა კითხვის ცოდნის სკოლაში „ცოტა შეგირდები დაიარებიანო. ეს იქნება სამინისტრო სკოლაზე *) უნდოდა ეთქვა და შეცდა, ჩვენც გვიპატიებია. ისიც ტყუილია, ვაყაში ორი სკოლა არ არის საჭიროვო. კარგად მოწყობილი სკოლა ორი კი არა, ოთხიც არ ეყოფა აქაურ ბავშვებს, მაგრამ სულ არაობასაო, ხომ მოგეხსენებათ... მე მინდოდა ს. გომში სკოლის დაარსება (ესეც მალე იქნება), ამას სხვა მიზანი ჰქონდა: ს. გომი კარგი სასკოლო სოფელია და ერთი კარგი სკოლა და სამკითხველო კიდეც ეჭირვება. მართალია, მივმართე „დეპოს გამგეობას“ და თ. ივ. მაჩაბელმა ალტაცებით მიიღო ჩემი თხოვნა და დამპირდა შემწეობას, მაგრამ ეს ზოგიერთებს არ ესიამოვნათ... უკანასკნელად, რაიცა შეეხება იმას, რომ მე „ჩვენებური მემამულენი მომდურებულნი“ მყოლია, „რის მიზეზი გამოურკვეველია“-ო, ამაზე იმას მოგახსენებთ, რომ ბ. მოამბეს თუ თვალი უდევნებია ბრილელებისა და თ. დიასამიძის საქმეებისათვის, იმას მაშინ აღარ დარჩებოდა გამოურკვეველი ეს მომდურება აქაური მემამულეებისა. მაგრამ, რადგან ეს ასე არ ყოფილა, ამიტომ ნება მიბოძეთ ავხსნათ. უნდა მოგახსენოთ, რომ აქამდის ყოველი წოდების კაცი ყურ-მოჭრილი ყმა იყო შეძლებულთა და ეხლაც ხომ ბევრია ასეთი, ნამეტურ სოფლად. მე კარგა ხანია ყმობა მონობა მოვიშორე თავიდან და ჩვენი საკუთარი თანა დროული აზრი გვაქვს. ჩვენი დევიზია, სიმართლე და სახარების ქრისტიანული ძმობა-ერთობა და თუ ვინმე მემდურის, მიტომ მემდურის, რომ ჩვენ დიდ კაცები ვართ, რათ გვიბედავ მაგასაო, ე. ი. სიმართლე რათა სთქვიო... და სხ. დიდკაცები ბრძანდებოდეთ ბატონებო, მაგრამ თქვენზე კიდევ უფრო დიდი ხომ ჭეშმარიტება და სიმართლეა... მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ უმეცრებს, რომელთაც თავის თავის მეტი არავინ ახსოვთ, ზოგიერთა „ტეპლომიანებიც“ კი აჰყოლიან და ჭორიკანობენ. „მიუტევე უფალო, რამე თუ არა იციან, რასა იქმიან და იტყვიან“...

მღ. სვიმონ წერეთელი

*) ჩვენ სკოლაზე ხალხი არაფერს ხარჯავს. წელს ოცი თუმანი (200 მ.) სამოსწავლო საბჭომ დაუნიშნა, მე სახლი დავუთმე და ბ. მიხეილა გოგატიშვილმა ხუთი მანეთი შემოსწირა და «ჯეჯილი» გამოუწერა, რისთვისაც დიდათ ვმადლობთ.

*** **სოხუმი.** ახალი ექიმის დანიშვნა. ეს ერთი თვეა, სოხუმის ქალაქის ექიმმა, რომელსაც, გარდა ქალაქის ექიმის თანამდებობისა, ათამდე სხვა თანამდებობის აღსრულება ჰქონდა ნაკისრი, ქალაქის ექიმობაზე უარი განაცხადა. მისს ადგილას ქალაქის დეპუტატებმა აირჩიეს ექიმი დ. დიმიტრიევი, კაცი ყოვლად კეთილი. ბ-ნმა დიმიტრიევმა თვისის დაუზარლობით, უანგაროებით და მოყვასის უზომო სიყვარულით სამართლიანად დაიმსახურა ადგილობრივის საზოგადოების გულ-წრფელი პატივის ცემა. წარსული მისი მოღვაწეობა თავმდებია იმისი, რომ ამიერიდან უფრო განუმტკიცებს საზოგადოებას მისდამო სიყვარულსა და პატივის ცემას. ამიტომ, სრულის სიხარულით ვეგებებით ჩვენთა დეპუტატთა არჩევას. იმედია, ჩვენი ქალაქი, ეს ჯირყინა ყოველ გვარის უსუფთაობისა, ეს ბუდე ყოველგვარ გადამდებ სენისა, ქალაქის ექიმად ბ-ნის მ. დიმიტრიევის არჩევის შემდეგ ფერსა და სახელს საუკეთესოდ გამოიცვლის, მოსულ ავადმყოფებისათვის საფრთხობელა არ იქმნება, როგორც აქამდე იყო, არამედ უფრო მიიზიდავს მათს რიცხვს.

*** **დ. ახალ-სენაკი.** ბაზრის უსუფთაობა და ბაზრელების გართობა. ახალ-სენაკელების დაუდევრობას და უზნეობას საზღვარი არა აქვს. აქ ამას წინად დღესასწაული (ჯარიანობა) დანიშნეს და დაბის დეპუტატები-კი ყურსაც არ იბერტყავენ ქალაქის სისუფთავეზე. ყოველგან ქუჩებზე საშინელი უსუფთაობაა და, ჯარიანობაც რომ არ იყოს, ბაზარს მაინც დიდი გასუფთავება ეჭირვება. ნუ თუ სანიტარები აქ არ იმყოფებიან, რომ სხვა უბედურებასთან სხვა-და-სხვა ავადმყოფობაც ზედ არ დაგვამატონ! გარდა ამისა ზოგიერთი მასხარები დაიჭერენ ძაღლს, გამოაბამენ კუდზე საბრახუნებელს, ძაღლი ფრთხება და მთელს ბაზარს გადირბენს, მედუქნეები სიამოვნებით შესცქერიან და წივილ-კივილით შემოარბენინებენ მთელს ბაზარს; ან კიდევ დაიჭერენ თაგვებს, გადაასხამენ ნავთს, მოუკიდებენ ცეცხლს და ასტეხენ ყიჟინს. ამასთან ფიქრადაც არავის მოსდის, რომ შესაძლებელია ცეცხლ-მოკიდებული თაგვი დუქნის ქვეშ შევარდეს და მთელი ბაზარი გადაჰბუგოს... მახლას, სენაკელებო!..

გურულ-მეგრელი

*** **ს. ჩიბათი** (გურია). უპატრონობა. ჩვენს სოფელში დაბუდებულია ყოველ-გვარი სისაძაგლე ამა ქვეყნისა. ცრუ ფიცი, მაგალ. რამდენიც გნებავთ იმდენი იყიდება, და მით უწევენ მტერს—მტრობას, მოყვარეს—მოყვრობას. მე შენ გეტყვი შერცხვებათ, შეეშინდებათ, გაზეთებში არ ჩაგვიწერონო! ან ვინ გაბედავს გაზეთებში აქაურ ამბების გამოქვეყნებას? აქაური მასწავლებლები ხომ არც თუ მწვადს წვავენ და არც შამფურსა. ან კიდევ ადგილობრივი მწერალი ხომ არ გაამჟღავნებს, ჩემი მწყალობელი და ჩემი ამხანაგი მამასახლისი ამა და ამ უმართებულო საქმეს სჩადის, გზებს ყურადღებას არ აქცევენო და სხ... და ან მე ერთ ქალს მივუხტი სახლში, რადგანაც წინედ არ დამნებდა, სახლს ცეცხლი წავუკიდე და შეშინებული ქალი გარედ გამოვაგდეო. მე და ჩემი ამხანაგი ვაჟკაცურად დავეტაკეთ და რომ კივილზე მეზობლები არ მოცვივნულიყვნენ, საჯაყ საქმეს დავმართებდითო, მაგრამ რაკი სხვას ვერაფერს გავხდი, საბრალო ქალი კარგად მივბეგვეო. მეორე დღეს ცრუ მოწმეები ვიშოვნე, რომლებიც ადვილად მიხსნიან სასჯელისაგან, პროტოკოლი და მისი ჯანი ხომ ჩემს გემოზე მოვჩარხე, რითაც, იმედი მაქვს, სრულიად უმანკო მტრედათ გამოვპარპაშდეო და სხვ... აბა, რასაკვირველია, ბ. მწერალი ამ ამბებს არ გამოაქვეყნებს.

მე და ჩემისთანა მეთოხეებს-კი ლუკმა ყურში მიგვაქვს და რავა გავბედავთ ბ-ნი რედაქტორები შევაწუხოთ ჩვენის ბლე-ბლუის ნაწერების კითხვით! და ან იქამდე გავკადნიერდეთ, რომ მათ პატივცემულ გაზეთებში „არდგილის“ დათმობა ვსთხოვოთ?! მაშ ისევ უნუგეშოდ თმენა და თმენა!!.

ვ. ჩიბათელი

*** **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). ჩვენა აგ-კარგი. ოცი წელიწადია რაც ოჩამჩირე არსებობს. 1877 წ. რუს-ოსმალოს ომიანობამ ალგავა დედამიწის ზურგიდან ძველი ოჩამჩირე. მხოლოდ ომის გათავების შემდეგ ახალი ოჩამჩირე ცოტა დაბლა ღალიძგისპირად გაშენდა. ამ ხნის განმავლობაში იგი დაბის პირობაზე გვარიანად გაიზარდა.

ამ ჟამად ოჩამჩირეში არის შემდეგი დაწესებულებანი: სამოსამართლო განყოფილება, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, აქვს ბინა კოდორის ნაწილის უფროსს, არის აფთიაქი თავისს ნაკლულევანებით, ეკკლესია, ექიმი და ფერშალი, ორკლასიან ნორმალური სასწავლებელი და სხვა. დუქნების რიცხვი 100-მდია.

ფოსტის გემი დადის კვირეში სამჯერ რუსეთიდან და სამჯერ ბათომიდან ე. ი. ორშაბათ, ოთხშაბათ-კვირაობით ბათომიდან გარნა ორშაბათ-პარასკევ-შაბათობით რუსეთიდან. ამას გარდა ორი სხვა საზოგადოების გემებიც დადიან:— „აზოვის“ და „რუსეთის“. იშვიათად გამოერევა ისეთი დღე რომ წამსვლელი გემს არ შეხვდეს.

ჟურნალ-გაზეთების რიცხვი ყოველ წლივ მატულობს. ამ ჟამად ოჩამჩირეშს მოდის შემდეგი დროგამოშვებით გამოცემანი: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, (13 ც.) „მოამბე“, „კრებული“, „კვალი“, „ჯეჯილი“ და „მწყემსი“. რუსული: „ახალი მიმოხ.“, „კავკაზი“, „ჩერ. ვესტ.“, „ნივა“, „ბირჟ. ვედ.“, „ნოვ. ვრემია“, „ნედელია“ და სხ.

გარდა ამისა წიგნებიც იყიდება მაგრამ სამწუხაროდ არც წიგნის მაღაზიაა ოჩამჩირეში და არც სამკითხველო; კითხვის ინტერესი ბევრს აქვს ოჩამჩირეში. ამისთვის სასურველია „წერა-კით. გამავრც. საზოგადოება“ აგენტს იყოლიებდეს ოჩამჩირეში, რომელსაც მის მიერ გამოცემაც წიგნებს გამოუგზავნის გასაყიდათ, რასაკვირველია ისეთს აგენტს რომელიც „მოიცლის“ და ინტერესი აქვს ამ საქმისა და არა ისეთს, რომელსაც

„არ სცალია“ და გაუგზავნოს, მაინც სახლში ექნება შენახული.

თვით დაბას განაგებს დაბის ბოქაული და ორი დეპუტატი. წლიური შემოსავალი აქვს დაბას 7—8 ათას მანეთამდე. სისუფთავე კარგად არ არის დაცული; ქუჩების თხრილში დამპალი წყალი დგას საიდანაც მთელი დღე განუწყვეტელი ბაყაყების ყიყინი მოისმის. ეს დამპალი წყალი ზაფხულობით ხელს უწყობს საშიშო ციებ-ცხელებას.

ოჩამჩირეში ბაზრობა რას ჰქვია ჯერ არ იციან. სოფლიდან ჩამოტანილ საქონელს ის მედუქნეები ჰყიდულობენ, რომელნიც თავში არიან მოქცეულნი და მერე ისინი მამასისხლად აძლევენ მცხოვრებთ.

ქართულ-რუსული წარმოდგენა აქ 3—4-ჯერ იმართება წელიწადში, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა ახალგაზდები სასწავლებლებიდან ჩამოვლენ.

ამ დღეებში ვაპირობთ საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენის გამართვას.

შეიძლება ოჩამჩირე ახლო მომავალში სულ სხვა სახით გამოჩნდეს რადგან მის გარშემო ბევრი სიმდიდრე იპოვნეს, აი მაგ., 2 ივლისს, დაიწყეს ოქუმის (სამურზაყანოშია) მადნის მუშაობა დროებით პირობის ძალით. მუშაობა გაგრძელდება სამ თვეს და ნამდვილი პირობა მაშინ შეიცვლება, როცა შეიტყობენ მადნის სიმდიდრეს. მადანი ვერცხლისა და ტყვიისაა.

ქურდობამ ოჩამჩირეში კვლავ მოიკიდა ფეხი აგერ ერთი თვის განმავლობაში რამდენიმე ცხენი დაიკარგა აგრეთვე ხარიც.

ხშირმა წვიმებმა დაბლობ ადგილის მოსავალი გააფუჭა.

—ლ—

*** **ს. მეტეხი** (ქართლი) ვაზის წამლობის საქმე. ეს ორი წელიწადია აქ არის ვაზის ექიმი ბ. ლევან გოგნიაშვილი, რომელიც თავის მოვალეობას გულ-მოდგინედ ასრულებს, უვლის ახალქალაქისა და მის გარშემო მყოფ სოფლების ვენახებს და, სხვათა შორის, თავგამოდებით ცდილობს ჩააგონოს ხალხს ვენახის წამლობის სარგებლობა, აწვდის მათ საჭირო იარაღს და არწმუნებს მხოლოდ სამი მანეთის წამალი დაგჭირდებათო, მაგრამ ხალხი ძალიან დაუნდობლად ეკიდება მის რჩევა-დარიგებას. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ ექიმის მიერ ნაწამლი ვაზი ყველგან მშვენივრად გვარობს. წელს ჩვენი მაზრის ვენახები თუმცა გახმა, მაგრამ ძირიდან ამოხეთქა და თუ ამ ნორჩ ვაზს ჰაერმა ხელი შეუწყო, საგაისოდ კარგად მოისხამს და ოდნავ მაინც დაანუგეშებს საბრალო გლეხებს.

მეტეხელი გლეხი ალ. მირზაშვილი

## სხვა-და-სხვა ამბები

გლადსტონის ძეგლები. 24 ივნისს საერო ფონდის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა—აავოს გლადსტონის ძეგლები ჯერ-ჯერობით ლონდონსა, ედინბურგსა, დუბლინსა და ჰოვარდენში.

—

პარიზის გამოფენისათვის გადადებულია 100 მილიონი ფრანკი, რომლიდანაც სახელმწიფო სდებს 20 მილიონს. ქალაქი—20 მილ., ხოლო 60 მილიონი ამოგებულია bons d'exposition-ის გაცემით. დღემდე დახარჯულია უკვე II მილიონამდე. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ 56 სახელმწიფოთაგან 50 სახელმწიფომ უკვე განაცხადა თავისი თანხმობა.

—

პოლიცმეისტრის ხრიკები. კიევის პოლიცმეისტერმა ი. ციხოცკიმ მოიწადინა თურმე თავისი თვალით ენახა თავისი ხელ-ქვეითების „სიფხიზლე“ და „უანგარობა“ და ამ განზრახვის ასასრულებლად მიუმართნია შემდეგი ღონისძიებისათვის: ჩაუცვამს დაგლეჯილი ტანისამოსი, გადაუსხვაფერებია პირისახე და დაუწყია ღამით ქალაქში სიარული. მიდის პოლიცმეისტერი ქუჩაზე და მას შეხვდება წინ ქუჩის დარაჯი.

— შესდეგ!—მიაძახებს დარაჯი. წამოდი პოლიციაში!

სტაცა ხელი და წაათრია. პოლიცმეისტერი ემუდარება მას გამიშვით, მაგრამ ულმობელი დარაჯი არ უშვებს. მაშინ დარაჯის ხელში შეცოცდება წკრიალა მანეთიანი. ეს გულს ულბობს სასტიკ დარაჯს, რომელიც უშვებს პოლიცმეისტერს და ლმობიერად ეუბნება:

— თავს უშველე, ჩემო ძმაო! წადი ეგ სამოვარი, კარგად გადაათვარე კალთა, თორემ ეგ ოხერი ბრწყვინავს.

მიდის ცისოცკი მეორე სადარაჯოსთან. აქაც ის ამბავი მოხდა, მაგრამ დარაჯმა იგრძნო თუ არა ხელში ვერცხლის მანეთიანი, კეთილ-შობილური გულის-წყრომა გამოიჩინა და შეჰყვირა:

— აი, შე ასეთო, შე ისეთო! შენი მანეთის გულისთვის გავისვრები? მომეცი ორი მანეთი და შენ გზას გაუდექი·

რამდენიმე სადარაჯო მშვიდობიანად გაიარა პოლიცმეისტერმა და 10 მანეთამდე ფული ჩაულაგა დარაჯებს. ბოლოს ის წააწყდა ერთს შეუბრალებელს დარაჯს. პოლიცმეისტერმა მიაწოდა მას ჯერ ერთი მანათი, მერე ორი, სამი, ხუთი; მაგრამ დარაჯი აღმოჩნდა მოუსყიდველი, მან ასტეხა ერთი აურ-ზაური და წაათრია საეჭვო კაცი პოლიციაში. სადაც თვლემდა მორიგი ნაწილის ზედამხედველი.

— თქვენო კეთილშობილებავ!—მიმართავს დარაჯი—ვინდაც უცნობი საეჭვო კაცი დავიჭირე სამოვრით იღლიაში. ალბად დაუძრავს საიდღანაც.

ძილ-მოკიდებულმა ზედამხედველმა წაიბურდღუნა

—რას მოათრევ აქ! შააგდე „კუტუზკაში“, იჯდეს იქ დილამდე, ხვალ ჩამოვართმევ ჩვენებას.

— თქვენო კეთილ-შობილებავ! სცადა წინააღმდეგობის გაწევა შეპყრობილმა—ახლავე მოისმინეთ ჩემი ჩვენება; როგორ იქნება აგრე ერთბაშად კუტუზკა“!

— რაო?—შეღრიალა მრისხანედ ზედამხედველმა—შენ ლაპარაკსაც-კი ჰბედავ? ჭკუას მასწავლი, შე არა მზადავ, შენა! შეეთრიე „კუტუზკაში“ ხმის ამოუღებლივ! ეი, არ გესმის დარაჯო, აასრულე, რასაც გიბრძანებ.

აქ უფროსმა მოიძრო პარიკი, ყალბი წვერი და სხვა მორთულობა, და განცვიფრებულ ზედამხედველს თვალწინ დაუდგა მისი მრისხანე უფროსი.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

6 ივლისი.

**ტაშკენტი.** სცდილობენ რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ანდიჯანის საქმე. დაპატიმრებულნი 4000 კაცზედ მეტი, იმყოფებიან ანდიჟანსა, ოშსა, ნამანგანსა, მარგელანშიბნჯგუფად არიან დაყოფილნი.ვივნისსსისრულეში მოიყვანეს განაჩენი იმათ შესახებ ვინც უფრო დამნაშავე იყვნენ, 48 კაციდგან განთავისუფლებული იქმნა 2, სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა 45; მათ შორის 37 კიცი შეწყნარებულ იქმნა, 9 კაცი ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ საჯაროდ იქმნა ჩამოღრჩობილი. დანარჩენ დამნაშავეთა საქმე ახლო მომავალში განირჩევა. მთელ მხარეში მშვიდობიანობაა.

**ევკსინოგრადი.** მთავარი, მთავრის მეუღლე და მთავრის ძე ბორისა „ერიკლიკ“ ის ხომალდით ოდესაში წავიდნენ. თან ახლავთ მინისტრი-პრეზიდენტი და სამხედრო მინისტრი.

**სანტ-იაგო.** მეციხოვნენი. ტორალის უფროსობით, სიმაგრებიდგან გამოვიდნენ, იმ ადგილას მივიდნენ სადაც ამერიკის ჯარი სდგას და იარაღი აიყარეს. ესპანიის დროშა ჩამოიღეს, ხოლო ამერიკისა აღმართეს.

**ვაშინგტონი.** სამხედროო საბჭოში განხილული იქმნა საქმის აწინდელი ვითარება. გამოირკვა, რომ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ეხლა საჭიროა პორტო რიკოს დაეცნენ და ვატსონის ესკადრა ესპანიის ნაპირებისაკენ იქმნას გაგზავნილი.

**შანხაი.** ხელ-ახლა მოხდა აჯანყება. ფრანგებმა აჯანყებულთაგან 15 კაცი მოჰკლეს. გხლა მშვიდობინობაა ხმა დადის, რომ აჯანყებულთა მეთაურნი და საფრანგეთის ელჩი ურთი ერთ შორის მორიგდენო.

**მადრიდი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ პორტო-რიკოში აფეთქებულ იქმნა 150 ფუთი, რომლებშიაც სასროლი მასალა იყო. 14 არტილერისტი მოკლულ, ხოლო რამდენიმე დაჭრილ იქმნა.

ტანჟირიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ვატსონის ესკადრას სმშაფათს მოელოდებინო.


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის ნაწილ წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—35)

ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია.